




ხაშურის მთაშვე



№13 (144)

26 მარტი, ორშაბათი,

2018 წელი

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გეგმიურ რეჟიმში მიმდინარეობს

20 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

აღის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ცხეთიჯვარში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტის განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს და სოფელში გადაადგილება კომფორტული და უსაფრთხო გახდება. ბეტონის გზით ცხეთიჯვარის გარდა, სოფლების: წაღვლის, წვედერის, ყობის, ჩორჩანის, კლდისწყაროს, ტიტინისწყაროს, ზემო და ქვემო ბროლოსნის 2000-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები ისარგებლებს. სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულზე დასრულდება. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 264 380 ლარს შეადგენს.



მუნიციპალიტეტის მერი სოფლებში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოებსაც გაეცნო. პროექტს სახელმწიფო ზედამხედველობას მერიის შესაბამისი სამსახურები უწევენ, რათა გაზიფიცირების სამუშაოების განხორციელებისას მოსახლეობის ინტერესები და პროექტირების სტანდარტები მაქსიმალურად იყოს დაცული და გათვალისწინებული.

აღის, ფლევის და წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებს ბუნებრივი აირი წელსვე ექნებათ

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების დასრულების შემდეგ ბუნებრივი აირით მთლიანად მომარაგდება აღის ადმინისტრაციული ერთეული და მასში შემავალი სოფლები: ახალუბანი, ბრილი, დუმაცხოვი, ზემო აძვისი, კლდისწყარო, ნაბახტევი, უწლევი, ქინძათი, ცხეთიჯვარი.

ფლევის ადმინისტრაციული ერთეული და მასში შემავალი სოფლები: დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ტკოცა, ნაცარგორა.

წაღვლის ადმინისტრაციული ერთეული და მასში შემავალი სოფლები: ზემო ბროლოსანი, ქვემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტინისწყარო და წვედერი.

პროექტს შპს „აზის ტრანსპორტირების კომპანია“ ახორციელებს. გაზიფიცირების პროცესში სამუშაოების განხორციელებისას, მოსახლეობის ინტერესების და პროექტირების სტანდარტების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, სამუშაოებს სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს მერიის ზედამხედველობის სამსახური, გაზიფიცირების პროექტი 7000-მდე აბონენტის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, რაც ხელს შეუწყობს მათი საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებას.



საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წევრები - სტუმრად ხაშურის მერიაში

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენლებმა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის წევრებს უმასპინძლეს.

ახალგაზრდა პარლამენტარებს მიესალმა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი და სთხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნისათვის.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა. პროექტ „განავითარე შენი რეგიონი“ მენეჯერმა გიგა გლუნჩაძემ ისაუბრა იმ მასშტაბურ ინოვაციურ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას სხვადასხვა რეგიონებში ახალგაზრდობისა და თვითმმართველობების ჩართულობით. პროექტს აქტიურად უჭერს მხარს პარლამენტში ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე. ახალგაზრდა პარლამენტის წევრებმა გამოთქვეს იმედი, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი მალე სრულად იქნება ათვისებული.

საკრებულოს თავმჯდომარემ წარმატებები უსურვა მოტივირებულ ახალგაზრდებს და მათთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან

21 მარტს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამადლების მიზნით, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით, ხაშურის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა.

ბავშვთა გასართობმა ცენტრმა მეორე საჯარო სკოლასთან არსებული დღის მოვლის ცენტრის და „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებს უმასპინძლა. მერიის წარმომადგენლებმა პატარები საჩუქრებით, ტკბილეულით გაახარეს და მათთან ერთად საზეიმო პროგრამაში ჩაერთვნენ.

ამ დღის აღსანიშნავად, მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე „21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე“, ხოლო ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკაში, მასწავლებლების, ნონა ტეფნაძის და ლია მეტივიშვილის ორგანიზებით და მეშვიდე საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით, სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართა. პედაგოგმა ნინო მესხიძემ ბავშვებს დაუნის სინდრომის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, რის შემდეგაც, ბავშვებმა, თავის მხრივ, საინფორმაციო მსვლელობა მოაწყვეს, დაარიგეს ბუკლეტები და კიდევ ერთხელ თქვეს, რომ მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან.



როდესაც პრობლემა, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია, ჭიქაში ქარიშხალი აღარ უნდა ავტეხოთ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ეხმაურება ხაშურის სტადიონის მდგომარეობასთან, კერძოდ, საშხაპების არარსებობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო კამპანიას, რომელიც, ჩვენი შეფასებით, შესაძლოა, მოქალაქეების არაინფორმირებულობასთან იყოს კავშირში. სტადიონის არასახარბიელო მდგომარეობის და ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მუნიციპალიტეტის მხრიდან გადადგმული ნაბიჯების შესახებ ჩვენ არაერთხელ გაგვიცხადებია, მაგრამ ვინაიდან ჩვენი საზოგადოების ინფორმირებულობა და საქმიანობის გამჭვირვალობა ჩვენი პრიორიტეტია, კიდევ ერთხელ საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ შპს „გ. ჯომართიძის სახელობის ხაშურის სტადიონი“ დაფუძნდა 2002 წელს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით სტადიონის ქონების ბაზაზე. შესაბამისად, პარტნიორის უფლებამოსილებას და შპს-ს წილთა განკარგვას ახორციელებდა ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, ხოლო ბოლო წლების მანძილზე - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. დაფუძნებისთანავე შპს არ ფუნქციონირებდა და იმყოფებოდა სავალალო მდგომარეობაში. ათწლეულების განმავლობაში არ ჩატარებულა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყობიდან იყო გამოსული ინფრასტრუქტურა, კომუნალური გაყვანილობები და საკანალიზაციო სისტემა. პარალელურად, შპს-ს დაუბრუნდა საგადასახადო დავალიანება, რამაც 2015 წლის მდგომარეობით დაახლოებით 120 000 ლარს მიაღწია. ვინაიდან, ქონება არ წარმოადგენდა მუნიციპალურ საკუთრებას, ადგილობრივი თვითმმართველობა მოკლებული იყო საშუალებას, რაიმე სახის ღონისძიება განეხორციელებინა მისი რეაბილიტაციის კუთხით. (სამართლიანობისთვის, იმასაც დავძენთ, რომ 2013-2014 წლებამდე ამ მიმართულებით განსაკუთრებული აქტიურობაც არაფერს გამოუჩენია). 2014 წლის შემოდგომიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა დაიწყო აქტიური საქმიანობა ამ კუთხით. კონკრეტულად, მუნიციპალიტეტის წინაშე იდგა ამოცანა, რომ ქონება მუნიციპალიტეტს გადმოსცემოდა მასზე რიცხული დავალიანების გარეშე, რათა საკუთრებაში არ აეღო გაკოტრებული, ვალაუვალი შპს. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურების ხანგრძლივი და რუტინული შრომის, საქართველოს მთავრობასა და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის ეფექტური თანამშრომლობის შედეგად მოხერხდა, რომ სტადიონის ვალაუვალი ქონება მუნიციპალიტეტს დავალიანების გარეშე გადმოსცემოდა.

სადღესოდ, უკვე მზად არის საპროექტო დოკუმენტაცია, პრაქტიკულად მიღწეულია შეთანხმება მუნიციპალური განვითარების ფონდთან თანადაფინანსების შესახებ ახალი სტადიონის ასაშენებლად. უკვე გადაწყვეტილია და მიმდინარე წლის ზაფხულიდან დაიწყება სტადიონის ამჟამინდელი კონსტრუქციის დემონტაჟის სამუშაოები, რომლის დასრულებას უკვე ახალი, ყველა თანამედროვე სტანდარტით აღჭურვილი სტადიონის მშენებლობა მოჰყვება. პოსტზე დართული რენდერები ზუსტად ასახავს ხაშურის სტადიონის მომავალ იერსახეს.

რამდენიმე სიტყვით გამოვეხმაურებით რაგბის ხელშეწყობის საკითხ-

საც. გულწრფელად ვაფასებთ სპორტის ამ სახეობაში მოვარჯიშე თითოეული სპორტსმენისა თუ მწვრთნელის შემართებას. იმ პირობების შესახებ, რომელშიც მათ უწევთ წვრთნა, ჩვენზე უკეთ არავის მოეხსენება, თუმცა, აქვე, საზოგადოების საყურადღებოდ, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ რაგბის ხელშეწყობად დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან ყოველწლიურად იზრდება. 2012 წელს, როცა ხაშურში სპორტის ამ სახეობაში პირველი გუნდი ჩამოყალიბდა, სულ 30-მდე სპორტსმენი გვყავდა. 2015 წლიდან ჩვენი ხელშეწყობით უკვე სურამშიც გაჩნდა გუნდი. დღეს რაგბით დაკავებული სპორტსმენების რაოდენობა მუნიციპალიტეტში 300-ს აღწევს. თუ პირველი გუნდები მხოლოდ სარაგბო ფესტივალებზე იღებდნენ მონაწილეობას, დღეს უკვე ასპარეზობენ „ა“ და „ბ“ ლიგებზეც. ცხადია, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ჩვენი სპორტსმენების ტრანსპორტირების, კვების, ეკიპირების და სხვა ხარჯებს, რაც ხაზგასმად არც ღირს, რადგან ჩვენს მოვალეობად მიგვანჩნია. ყველა წარმატებულმა რაგბისტმა მუნიციპალიტეტისგან ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო, რაც ასევე მათ მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.

მუნიციპალიტეტი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სპორტის განვითარების ხელშეწყობისთვის სპორტული ბაზის მოწესრიგება უმნიშვნელოვანესია. ამ დამოკიდებულების სადემონსტრაციოდ თუნდაც ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობაც იკმარებდა, რომ არა ის ნაბიჯები, რაც მუნიციპალიტეტმა ახალი სტადიონის ასაშენებლად გადადგა, რაზედაც ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ. გატარებულია ღონისძიებები სურამში სტადიონის მოსაწესრიგებლად. პირველი ეტაპის სამუშაოები, რაც გასახდელეებისა და საშხაპების მოწყობას ითვალისწინებდა, უკვე დასრულდა. მეორე ეტაპზე უკვე კომუნიკაციების საკითხიც მოგვარდება და სტადიონი სპორტსმენებს სტანდარტების დაცვით მოემსახურება.

ერთსაც დავსძენთ: რამდენიმე წლის წინ, როცა ხაშურში რაგბის გუნდის ჩამოყალიბების იდეა გაჩნდა, სტადიონი, გარდა იმისა, რომ ვერანაირ ელემენტარულ სტანდარტს ვერ უძლებდა, მისი მომავალიც ბუნდოვანი და უპერსპექტივო იყო. იმ მიზეზით, თითქმის უიმედო მდგომარეობაში, ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ღირდა დაწყება, ღირდა შრომა, რომ ჩვენი ახალგაზრდები ნაცვლად ქუჩისა, ცხოვრების ჯანსაღი წესით ყოფილიყვნენ დაკავებული. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩვენს მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯის შესახებ იციან მწვრთნელებმა, იციან სპორტსმენებმა, იციან გულშემატკივრებმა. დიდი მადლობლიც ვართ, რომ ვაცილებით მიმე პერიოდებში მათგან მხარდაჭერის გარდა არაფერი მიგვიღია, ამიტომ გულწრფელად გვიკვირს, რომ მაინცდამაინც დღეს, როცა ყველა საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ჭიქაში ქარიშხალი ტყდება და თურმე კამათ-მსჯელობა მიდის, რამდენი ნახვა თუ გაზიარება აქვს ჩვენი შესანიშნავი სპორტსმენების ვიდუოს, სადაც ისინი მატჩის შემდეგ არაფერს იტყვიან მდგომარეობაში (რაც ნებისმიერი სპორტისთვის ბუნებრივია) არიან.

ბიჭებო, გული არ გაიტეხოთ, დარწმუნებული ვართ, ვიდუო უმრავლესობამ თქვენი შესაშური შემართების დასაფასებლად ნახა. მუნიციპალიტეტი კი კვლავაც გააგრძელებს რაგბის მხარდაჭერას ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებით. რაგბი ხომ ჩვენი თამაშია!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახური

გვანცა ცხოვრებაშივილი - მნიშვნელოვანი კონკურსის გამარჯვებული

ყოველთვის გვიხარია, როდესაც ხაშურელი მოსწავლე-ახალგაზრდების წარმატების შესახებ ვიგებთ და ამ სიხარულს თქვენც გიზიარებთ. ამჯერად, გომის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლის გვანცა ცხოვრებაშივილის შესახებ ვიამბობთ, რომელმაც ზამთრის ქართველოლოგიური სკოლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გვასახელა. უამრავ მონაწილეს შორის, სწორედ გვანცას თემას ერგო საპრიზო ადგილი და შინ გამარჯვებით დაგვიბრუნდა. კონკურსის მიმდინარეობაზე გვანცამ თავად გვიამბო:

გვანცა ცხოვრებაშივილი:
- პროექტის შესახებ სკოლიდან შევიტყე. ჩემმა ისტორიის მასწავლებელმა, შორენა ამბარიძემ მითხრა ზამთრის ქართველოლოგიური სკოლის კონკურსის შესახებ და გადავწყვიტეთ, მიგველო მონაწილეობა. პირველ რიგში, დავწერეთ თემა „ქართული ელჩობა ევროპაში - გეზი ევროპისკენ“, რომლის ხელმძღვანელი ქალბატონი შორენა ამბარიძე იყო. კონკურსში, დაახლოებით, 70-80 მონაწილე იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან, ფინალურ ეტაპზე 24 თემა გადავიდა, მათ შორის, ჩემიც. ფინალურ ეტაპზე ვიყავით 28 თებერვლიდან - 6 მარტის ჩათვლით, ტრანსპორტის, ცხოვრების და კვების ხარჯები მთლიანად დაფინანსებული იყო სკოლის მიერ. ვატარებდით საკუთარი თემების პრეზენტაციებს. მოვისმინეთ ცნობილი მეცნიერთა ლექციები პუბლიკაციებზე, მთავარია სხვადასხვა საკითხებზე. პროექტი განაკუთვნილია საქართველოში არსებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთათვის, ასევე, სკოლის დამამთავრებელი კლასების (XI-XII) მოსწავლეობისთვის. წელს, სკოლის მოსწავლე სულ ოთხნი ვიყავით. კონკურსის მიზანი,



ქართველოლოგიის მიმართულებით დაინტერესებული „ახალგაზრდების გამოვლენა და მათი ცოდნის გაღრმავება გახდდა. სკოლის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბაძე იყო. თემატიკა განსაზღვრული იყო, უნდა გვემუშავა ქართველოლოგიის შემდეგ მიმართულებებზე: საქართველოს ისტორია, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ქართული მითოსი, ეთნოგრაფია და ა.შ. პრეზენტაციები თსუ-ს პირველ კორპუსში იმართებოდა, რომლის შემდეგ, კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა 5 გამარჯვებული, მათ შორის მეც და დამოუკიდებელი ქართველოლოგიის პაინეც ჰენრიხის სახელობის ფულადი პრემიები. დავამატებ, რომ ამ კონკურსმა უდიდესი გამოცდილება მომცა, თემაზე მუშაობამ და პრეზენტაციამ უამრავი უნარ-ჩვევა გამომიშვა, გაგხდით უფრო მეტად მიზანდასახული და აქტიური, რაც მომავალში ძალიან დამეხმარება...

გულთკავთ გომის საჯარო სკოლას გვანცას წარმატებას, იმედი გვაქვს, გვანცა დასაწყისია იმ გამარჯვებების, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტს სამომავლო სიკეთედ ექცევა.

თ. ახალკაცი



რამდენიმე სიტყვით გამოვეხმაურებით რაგბის ხელშეწყობის საკითხ-

მთავრობის ახალი ინიციატივა - შესანიშნავი შანსი ახალგაზრდა მეწარმეებისთვის

„ახალგაზრდა მეწარმე“ განკუთვნილია ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პროგრამის მიზანია სტიმული მიეცეს სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში განხორციელდეს ინვესტიციები, რომლის შედეგად გაუმჯობესდება ახალგაზრდა მეწარმეების სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ „სტარტაპების“ თანადაფინანსებას.

პროგრამის შესახებ სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“ განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სურთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება საქართველოში.

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს და ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის სართაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით.

მიზნები: სტიმული მიეცეს სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების განვითარებას და ბიზნესში ჩართულობას, მოხდეს რეგიონებში ეკონომიკური ზრდის და კერძო სექტორის გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში განხორციელდეს ინვესტიციები. შედეგად, გაუმჯობესდება ახალგაზრდა მეწარმეების სოციალურ-ეკონომიკური პირობები და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

ამოცანები: ახალგაზრდებზე მორგებული დაფინანსების მოდელის შექმნა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს წამოიწყონ ბიზნეს საქმიანობა და ამავდროულად მოახდინონ საკუთარი გეგმების რეალიზება, დაფინანსების მიღებამდე და დაფინანსების პროცესში მათი სწორი ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფა, რათა განხორციელდეს გეგმების სწორი ფორმაცია, დაფინანსების შემდგომი დახმარება, რათა გეგმების განხორციელების პროცესში გაუმკლავდნენ გამოწვევებს.

„ახალგაზრდა მეწარმის“ ფარგლებში მოხდება მხოლოდ ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო ხარჯების თანადაფინანსება. პროგრამის მიზნებისათვის ახალი ბიზნესი კლასიფიცირდება შემდეგნაირად: სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც იწყებს პირი (სააგენტოში განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ გააჩნია მიმდინარე ბიზნესი). სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც პირი იწყებს სხვა მუნიციპალიტეტში, სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს პირისთვის ახალ ბიზნეს მიმართულებას.

ბენეფიციარის თავსებადობის კრიტერიუმები: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე, რომლის ასაკი სააგენტოში განაცხადის წარდგენის მომენტისთვის შეადგენს 18-დან 35 წლის ჩათვლით მამაკაცების შემთხვევაში, ხოლო 18-დან 40 წლის ჩათვლით ქალების შემთხვევაში და საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლის დამფუძნებლები/მეპაიეები და გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორ(ებ)ი განაცხადის წარდგენის მომენტში არიან 18-დან 35 წლის ჩათვლით მამაკაცები ან/და 18-დან 40 წლის ჩათვლით ქალები.

შენიშვნა: პოტენციური ბენეფიციარი შესაძლებელია განაცხადის წარდგენის ეტაპზე არ იყოს რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე, უძრავი ქონება, სადაც ხორციელდება ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული თანხის ინვესტირება, უნდა იყოს ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრირებული სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ან/და მიღებული უნდა ჰქონდეს იჯარით/აღნაგობით (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 წელს. იჯარის/აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“). უძრავ ქონებას, სადაც დაგეგმილია ახალი ბიზნესის დაწყება არ უნდა ექნას ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა). ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, პროგრამა ითვალისწინებს ახალი ბიზნესის დასაწყებად პოტენციური ბენეფიციარებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას, რომელსაც გააჩნია სამი ეტაპი: თანადაფინანსების მიღებამდე ტექნიკური დახმარება, თანადაფინანსება - ფინანსური დახმარება, თანადაფინანსების მიღების შემდგომი ტექნიკური დახმარება.

ფინანსური დახმარება: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობა (არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობაზე გაცემული ჯამური თანადაფინანსება უნდა შეადგენდეს პროგრამით განსაზღვრული თანადაფინანსების ბიუჯეტის არაუმეტეს 20%-ს), რომელსაც გააჩნია ფიქსირებული ადგილმდებარეობა. სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნეს გეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების 40%-ს, მაგრამ არაუმეტეს 60,000 (სამოცი ათასი) ლარს. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 000 (ათი ათასი) ლარს.

შენიშვნა: სააგენტოს თანადაფინანსება შესაძლოა შეადგენდეს 40%-ზე ნაკლებს იმ შემთხვევაში, თუ პროექტის საინვესტიციო ღირებულება აღემატება 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს. სააგენტოს თანადაფინანსების თანხით დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება გათავისუფლებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან (პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ინვოის(ებ)ი/ხელშეკრულება არ უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს).

ტექნიკური დახმარება: თანადაფინანსების მიღებამდე საკონსულტაციო მომსახურება, პოტენციური ბენეფიციარები მიიღებენ კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურებას ბიზნეს გეგმების შედგენის მიმართულებით. საწარმოო პროცესის შეფასება, ბიზნეს გეგმაში საწარმოო პროცესის არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი ექსპერტები შეაფასებენ წარდგენილი ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისობას და შეუსაბამობის შემთხვევაში გასცემენ რეკომენდაციებს, როგორც პროცესის მართვასთან, ასევე ბიზნეს გეგმით წარდგენილ პროექტთან დაკავშირებით. ბიზნეს გეგმის ღირებულების დაფინანსება. ბიზნესგეგმის ღირებულების ანაზღაურება მოხდება პროგრამის ბიუჯეტიდან.

თანადაფინანსების შემდგომ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმის დამტკიცების შემდეგ, პროგრამის ფარგლებში შერჩეული კვალიფიციური საკონსულტაციო კომპანია ბენეფიციარს დაეხმარება პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ყველა საჭირო ღონისძიებაში თანადაფინანსების ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება. წარმოდგენილი ბიზნეს იდეის განხორციელების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის შედგენა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვის აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის

ფაილინგ სააღრიცხვო პროგრამის/სისტემის დანერგვა. ბიზნესის მართვისათვის საჭირო ტრენინგების ჩატარება.

პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსება განხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების გარდა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი.

შენიშვნა: შეზღუდვა არ ვრცელდება ქბათუმის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს მიმართულებაზე.

სააგენტოს თანადაფინანსების თანხით დაფინანსებული საქონელი, სამუშაოები და მომსახურება გათავისუფლებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისგან (პროგრამის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ინვოის(ებ)ი/ხელშეკრულება არ უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს).

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება შემდეგი ბიზნეს საქმიანობები: ალკოჰოლური სასმელების (გარდა იმ ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული საქმიანობისა, რომელითაც განსაზღვრულია არაუმეტეს 20,000 ბოთლი (15,000 ლიტრი) ღვინის წარმოება) და თამბაქოს წარმოება. ახარტული თამაშები. სავაჭრო ობიექტი. სალომბარდო მომსახურება. საიუველირო ნაწარმის დამზადება. რესტორნები და კვების ობიექტები. ექსტრემალური სპორტი და მასთან დაკავშირებული მომსახურება. დეველოპერული საქმიანობა (მათ შორის პროგრამული საქმიანობა, შოფტწარე დეველოპმენტი). ელექტრონული ბიზნესი. სატრანსპორტო მომსახურება. სამშენებლო საქმიანობა. ჭაბურღილის მოწყობა. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ან/და რემონტი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული სახლი გამოიყენება ტურიზმისათვის). მეცხოველეობის/მეფრინველეობის ფერმა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანადაფინანსება გაიცემა ისეთი მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვისა და მეცხოველეობის ფერმის მოსაწყობად, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139 განკარგულებით დამტკიცებული „შედავითიანი აგროკრედიტის პროექტის“ გათვალისწინებული პირობების ჯიშებს და მათი შესყიდვის წესს). სათბურის მოწყობა / გადაიარაღება. სასაკლავოს მოწყობა / გადაიარაღება. მრავალწლიანი ბაღების გაშენება (დასაშვებია ვაზის გაშენება, გარდა რქაწითელის ჯიშის ყურძნისა). ერთწლიანი კულტურების პირველადი წარმოება. მეფუტკრეობა.

საინვესტიციო გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვები/პირობები: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ინვენტარის და/ან ბიზნეს ადმინისტრირებისთვის საჭირო მშენებლობის მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ჯამური ღირებულების 5%-ს. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა არ მოხმარდება ადმინისტრირებისათვის საჭირო ინვენტარის დაფინანსებას.

წარდგენილ პროექტში საბრუნავი საშუალებების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 20%-ს, რომლის ხარჯვა უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების/შესყიდვის აქტით. ამასთან, სააგენტოს თანადაფინანსების თანხა დაიხარჯება მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესაძენად.

წარდგენილი პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებების შესაძენად/შესაქმნელად გაწეული ხარჯი უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნადებით ან/და ანგარიშფაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით (მომსახურების შემთხვევაში) ან/და ფორმა №2-ით (მშენებლობის შემთხვევაში).

პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების დახარჯვა უნდა განხორციელდეს ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორების გზით, რაც უნდა დასტურდებოდეს საგადახდო დავალებით/საღაროს ქვითრით (ჩეკი).

პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ფლობს წილს/აქციას/პაის პროგრამის ფარგლებში მისთვის საქართველოში რეგისტრირებულ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ/მშენებლობის შემსრულებელ კომპანიაში.

წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულება შეიძლება მოიცავდეს ყველა ხარჯს, გარდა შემდეგი ხარჯებისა: პროექტირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შესყიდვა. დიზაინერული მომსახურება. დაზღვევა, მივლინება, ტრენინგი, მარკეტინგი. სავანგაშო და ვიდეო-აუდიო სისტემები (გარდა ხანძარსა და სხვა დაავალანების დაფარვა. საწარმოს წილების/აქციების შეძენა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის შეძენა. სატრანსპორტო საშუალებების შეძენა. ცხოველების/ფრინველების შეძენა, (გარდა მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გათვალისწინებული შემთხვევისა).

პოტენციური ბენეფიციარი სააგენტოს თანადაფინანსების მისაღებად გადის შემდეგ ეტაპებს:

1. ვებგვერდზე რეგისტრაცია
- პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირდება ვებ-გვერდზე www.danida.apma.ge
2. განაცხადის შევსება
- სრულყოფილად ავსებს განაცხადის ელექტრონულ ფორმას (ფიზიკური პირის შემთხვევაში; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში).
3. განაცხადის განხილვა.
- პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ განაცხადს სააგენტო განიხილავს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
4. ბიზნეს გეგმის მომზადება.
- პროგრამის ფარგლებში წინასწარ შერჩეული კვალიფიციური საკონსულტაციო კომპანია პოტენციურ ბენეფიციართან შეთანხმებით მოამზადებს წინასწარ შეთანხმებული ფორმატის მიხედვით ბიზნეს გეგმას.
5. ბიზნეს გეგმის და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა.
- პოტენციური ბენეფიციარი საკუთარი მართვის პანელში ახორციელებს ბიზნეს გეგმის, შესაბამისი ექსპერტების დასკვნის და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის ატვირთვას.
- შენიშვნა: ბიზნეს გეგმის და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა უნდა განხორციელდეს განაცხადის სტატუსის ცვლილებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში.
6. ბიზნეს გეგმის დამტკიცება.
- სააგენტო ახორციელებს ბიზნეს გეგმისა და თანმდევი დოკუმენტაციის განხილვას და აცნობებს განმცხადებელს გადაწყვეტილების შესახებ.
7. ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.
- ბიზნეს გეგმის დამტკიცების შემთხვევაში პოტენციურმა ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო დოკუმენტაცია.
8. ხელშეკრულების გაფორმება.
9. თანადაფინანსების მიღება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

- სოფლის მეურნეობა -

ოთარ უზმინი - მეფუტყრე, რომელმაც ერთი სეიდან 132 უიცილოდ თაფლი მიიღო

მეფუტყრეობას, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს დარგს, „ხაშურის მოამბე“ კვლავ შეეხო, ამ ნომერში გააცნობთ მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ მეფუტყრეს ოთარ უზმინს, რომელიც შეეცადა, გაზეთის მეშვეობით, წლების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა და გამოც-



დილება ამ დარგით დაინტერესებული მეფუტყრეებისათვისაც გაეზიარებინა.
- ბატონო ოთარ, როდის დაინტერესდით თავდაპირველად, მეფუტყრეობით?

- მეფუტყრეობით ბავშვობიდანვე დაინტერესდი, დედაჩემი პედაგოგი გახლდათ და ახალციხის ერთ-ერთ სოფელ - სვირში გაანაწილეს მასწავლებლად, შესაბამისად, მეც სწავლა იქ განვაგრძე. სწორედ, მაშინ დაინტერესდი პირველად. ჩემს მეზობლად, ერთი მეფუტყრე ცხოვრობდა, ჩემი ტოლი შეიღებოდა ჰყავდა და მათთან ვმეგობროდი, საშუალება მქონდა ფუტყართან ახლოს ვყოფილიყავი და მათი მოვლის თითოეული დეტალისათვის თვალყური მედევნებინა.

- ძირეული ცოდნა როდის შეიძინეთ?

- სკოლის შემდეგ, უმაღლესი დავამთავრე, სამსახურიც ისეთ მქონდა, არც დრო მრჩებოდა და არც საშუალება მქონდა ამ საქმიანობას მიველოდი. დაახლოებით, 1989 წლიდან, საფეიქრო -საგალანტერიო ფაბრიკაში გადავედი ჩემს მეუღლესთან ერთად სამუშაოდ, მან კი რეალურად მომეცა საშუალება ამ დარგისთვის სერიოზულად მომეკიდა ხელი. სამსახურიდან გახლდით მოსკოვში, სადაც ტელევიზიით წავაწყდი რეკლამას, რომ როსტოვის ერთ-ერთ გარეუბანში, ვისაც სოკოს მოყვანის და მეფუტყრეობის შესწავლა სურდა, იწვევდნენ მსურველებს, მოკლევადიანი კურსების გასაგებლად. მეორე დღესვე ვესტუმრე, მომამარაგეს შესაბამისი ლიტერატურით, რითიც გამოადვილეს მეფუტყრეობის შესწავლა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შევხვედი ლადო ლვინჯილიას, რომელიც გახლდათ მეფუტყრეობის სკოლის დირექტორი. იმ პერიოდში, ეს სკოლა იხურებოდა და განცხადება გააკეთეს, რომ მიიწვევდნენ მსურველებს მეფუტყრეობის შესწავლის კურსებზე, თუმცა, დიდად მსურველი არ გამოჩნდა, ამიტომ, ფაბრიკაში, სადაც ვმუშაობდი, დავაყენე საკითხი რომ გადაერიცხათ თანხა და ფაბრიკაში მომუშავეებს ეს კურსები გაეგლოთ, მართლაც, 30-მდე ადამიანი მოგროვდა. კურსები 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში, იმდენი შევისწავლე ამ დარგის შესახებ, რომ თავისუფლად შემიძლო ამ საქმიანობას დამოუკიდებლად გაეძლოლოდი. შემდგომში, ქვეყანაშიც მიიმე ვითარება შეიქმნა, გატვირდა სამუშაო ადგილებიც, ასე, რომ ოჯახთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ,



მეფუტყრეობისათვის მოგვეკიდა ხელი და შემოსავლის ძირითად წყაროდ გვექცია ის. გვერდში დამიდგნენ მეუღლე და სამი შვილიც, ვმუშაობდით თავდაუზოგავად და თავდაპირველი 4 ფუტყრის სეიდან, რომელიც სოფელ სვირიდან ჩამოვიტანე, 150 ოჯახამდე ავედი, შესაბამისად, გაიზარდა შემოს-

სავალიც.

- დღეს ფუტყრის რამდენ ოჯახს ითვლის თქვენი მეურნეობა??

- დღესდღეობით, ორმოც ოჯახზე ჩამოვედით, წლების შემდეგ, შეიღებოდა სასწავლებლად და სამუშაოდ წავიდნენ, თითოეულს საკუთარი ოჯახი აქვს, და უზრუნველყოფილნი არიან. ასე რომ, მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე დავრჩით და ვცდილობთ, ვიყოლიოთ იმდენი ფუტყარი, რამდენის მოვლასაც მოვახერხებთ. აქვე დავამატებ, რომ სკებს ჩემი ხელით ვამზადებ, რასაც ამ ეზოში ხედავთ, უკლებლივ, ჩემი გაკეთებულია. საქმე იმაშია, რომ სტანდარტულმა სკებმა არ დამაკმაყოფილა და გადავწყვიტე, თავადვე დამემზადებინა ინდივიდუალური სკები, რომლებიც კომპაქტური იქნებოდა, პირველ რიგში, ფუტყრებისათვის და ამასთანავე, აგვარილება დამატებით ფინანსურ ხარჯებსაც.

- რომელი გიშის ფუტყარი გყავთ?

- მთის რუხი ფუტყარი გყავს, ქართული-საქართველოში სხვა ჯიშში აკრძალულია. ამ ჯიშს ძალიან კარგი თვისებები აქვს: საუკეთესოდ იცავს ბუდეს, შრომისმოყვარეა, ჩვეულებრივ, უფრო ეგუება მკაცრ კლიმატურ პირობებს, გრძელი ხორთუმი აქვს. არის გარკვეული თვისებები, რომლებიც სხვა ფუტყრებს უკეთესი აქვთ ქართულ ფუტყართად შედარებით, მაგალითად უფრო გრძელი ხორთუმი, თუმცა, როდესაც შეჯიბრება ჩატარდა ქართულმა ფუტყარმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა.

- ვვალაზე მეტი თაფლი რამდენი აგიღიათ, ერთი ოჯახიდან?

- 132 კილო გახლდათ რეკორდული რიცხვი ფუტყრის ერთი ოჯახიდან, ხუთ სხვადასხვა ადგილზე, თუმცა, ეს ყოველთვის ასე არაა. ამ ბოლო დროს, ძალიან დაიკლო მოსავალმაც, კლიმატიც შეიცვალა და 19 კილომდე ჩამოვიდა. თაფლის რაოდენობის გაზრდის მიზნით, გაზაფხულზე იმერეთში გადავყავს, შემდეგ მთაში, გუჯარეთის ხეობაში.

- ბატონო ოთარ, საკმაოდ გამოცდილი და კვალიფიციური ხართ ამ საკითხში, რას ურჩევდით გამოუცდელ მეფუტყრეებს, რომელთაც ეს საქმე ახლახანს დაიწყეს?

- უცილებელია, რომ მეფუტყრეობის მსურველებმა გაიარონ თეორიული კურსები. თეორიული ცოდნა უმნიშვნელოვანესია. როდესაც ფუტყართან მუშაობ, საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად და მაქსიმალური სიხუსტით გააკეთო საქმე, რათა, სხვა ფუტყრების ოჯახი არ გააღიზიანო. საჭიროა ხარისხიანი ინვენტარი. ხაზს გავეუსვამ კოოპერატივებს, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს და ცოდნა აუმაღ-



ლონ შედარებით გამოუცდელ კოოპერატივის წევრს. სკების შეწამვლის საკითხებთან დაკავშირებით, მიიღონ სათანადო ინფორმაცია. მინდა, აღვნიშნო, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის როლი დარგის განვითარებაში. მათი მხარდაჭერით, ძალიან სასარგებლო ტრენინგები ტარდება ხაშურში, რომელსაც სისტემატურად ვესწრებით.

- როგორც ვიცით, ამუშავებთ მიწასაც..

- 15 მეასედი გვაქვს თავისი წვეთოვანი სარწყავით, თავდაპირველად, 200 ძირი პომიდორი დავრგე, ძალიან მაღალი გაიზარდა, მოსავალიც კარგი მოგვცა - ერთი ძირი პომიდორი 15 კილოს მიუახლოვდა. ყველაზე დიდი ნაყოფის წონამ 735 გრამამდე მიაღწია. ამავე ნაკვეთში მოგვეყავს კარტოფილიც, პომიდორი, ხახვი, ნორი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი, მწვანელი, მწვანე ლობიო, სიმინდი და ლობიო. დავრგეთ, აგრეთვე, ინტენსიური ხეხილის ხეები, კენკროვანები: უეკლო მავალი, ჟოლო. მიწის ფართობი ბევრი არ არის, თუმცა მოსავალი კარგი მოდის, თუ კარგად მოუვლი, ოჯახისთვის საკმარის ბოსტნეულს მიიღებ.

- სოფლის მეურნეობაში აქტიურად ხართ ჩართული, რაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა, დამხმარეები თუ გყავთ?

- არა, ყველაფერს მე და ჩემი მეუღლე ვაკეთებთ. ვეჭიდებით იმდენს, რამდენიც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებშია. ერთადერთი, დახმარება გვჭირდება მაშინ, როდესაც მანქანაში სკების ჩატვირთვა-გადმოტვირთვაა საჭირო...

ბევრი წარმატებული ფერმერი, მიწათმოქმედი თუ მეფუტყრე გავაცანით რაიონის მოსახლეობას, ძიებას კი არ ვწყვეტთ, მითუმეტეს, რომ ყოველ ჯერზე უფრო ახალ, განსხვავებულ, საინტერესო ფერმერს თუ უბრალოდ გლეხს აღმოვჩენთ ხოლმე. ასე მოხდა ამ შემთხვევაში, გაცივანით ცოლ-ქმარი, რომლებმაც კვლავ გაგვაცნეს საკუთარი შრომისმოყვარეობით, ქართული მიწის სიყვარულით და გვაჩვენეს, რომ პროფესიონალიზმს, ენთუზიაზმს, ყველა საქმის კარგად კეთება შეუძლია.

თ. ახალკაცი

ვასკა გრიგალაშვილი - იუ-მორისტი, რომლის ლექსებს ათასობით მკითხველი ჰყავს

„მომწონს ქართველები, სხვა ქვეყნის ქალებზე ვერ ვგვიყვები“ ვასკა გრიგალაშვილის იუმორისტული ვიდეოები სოციალურ ქსელებში პოპულარობით სარგებლობს. მისი ლექსები სარკაზმითაა სავსე და აქტიურად ეხმაურება თანამედროვე მოვლენებს. ურთიერთობაშიც ასეთივე მხიარული და ხალასია, მასთან საუბარი არ მოგწყინდება. რითმებთან დამეგობრებული იურისტი თავად მოგვიყვება, რატომ არ სწყალობს ქალ მძღოლებს, რას უსურვებს ლგბტ წყვილებს და რატომ ეპატიუბოდა შალვა ნათელაშვილი ხინკლის მისართმევად.

- სურამელი ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე, 17 წლიდან კი თბილისში ვცხოვრობ. პროფესიით იურისტი ვახლავართ. ბავშვობიდან მსახიობობაზე



ვოცნებობდი, მაგრამ ხომ იცით, მშობლების ნება-სურვილზე დავდიოდით მაშინ და მეც მათი თხოვნით ჩავაბარე იურიდიულზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში. ერთი დღეც არ მიმუშავია იურისტად და არც მაქვს სურვილი, ვიმუშაო. ძირითადად, რეკლამებს ვაკეთებ სხვადასხვა კომპანიისთვის, ვთანამშრომლობ რადიოებთან. ახლა ჩემთვის რაღაცას ვერთობი და ვწერ. თავიდან სერიოზული ლექსებით დავიწყე და ერთი ისეთი ლექსი დავწერე სიყვარულზე, საბოლოო ჯამში, „ჩალიჩზე“ გამომივიდა. აი, მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი არ იყო და სახუმარო ლექსების წერა გავაგრძელე.

- ენამოსწრებული ალბათ, თავიდანვე იყავი...
- კი, სხვათა შორის, ბაბუაჩემსაც და მამაჩემსაც იმპროვიზაციის საოცარი უნარი ჰქონდათ და ალბათ, მათგან გამომეყვა ეს ნიჭი. უფრო, რითმებთან ვმეგობრობ და სახლშიც ასე ვლაპარაკობ, გართიმულად. ასე მაგალითად: მოდი, შვილო, ვირიშვილო (იცინის)...
- და შვილი როგორ იღებს შენს ასეთ იუმორს?
- იცინის და მოსწონს, თვითონაც აქვს იუმორის ნიჭი, აქედანვე ეტყობა, კოჭებში...
- ქართველ გოგონებზე მართლა ასეთი ცუდი წარმოდგენის ხარ? შენი ლექსებიდან გამომდინარე გეკითხები.
- არა, არა! მე მიყვარს და მომწონს ქართველები, სხვა ქვეყნის ქალებზე ვერ ვგვიყვები. ოღონდ, გულწრფელად გეუბნებით, შავგვრემანები უფრო მომწონს, ვიდრე ქერა და ცისფერთვალეა. შესაბამისად, ცოლიც ქართველი მყავს - საღამო ბუაძე თბილისელი გოგოა და თანაც, ტკბილი სიძეც ვარ.
- შენი სიდედრი ამბობს, ტკბილი სიძე მყავსო?
- ამ ეტაპზე სიდედრ-სიმამრის ოჯახში ვცხოვრობ და ამიტომ ვუწოდებ თავს ტკბილ სიძეს. ისე, მართლა კარგი ურთიერთობა მაქვს მათთან.
- შენ და სალომემ როგორ გაიცანით ერთმანეთი?
- მეგობართან იყო ჩამოსული სურამში, არდადეგებზე. შევედი თუ არ ოთახში, პირდაპირ მივედი მასთან და ვუთხარი: შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე-მეთქი. ეს ვერ არის კარგადო? - გადაულაპარაკა მეგობარს. პრინციპში, მართალი თქვა, მაგრამ ჩემი სიტყვებიც ასევე წარმატებით გამართლდა და ზუსტად ერთ წელიწადში დავქორწინდით. მე 28 წლის ვიყავი და ის - 21-ის. საღამო ჩემი ლექსების პირველი კრიტიკოსია. ხშირად მეუბნება: აი, ეს ასე რომ დაწერო და თქვა, უკეთესი ხომ არ იქნება და ა.შ. მართალია, მე სტალინით ვიქცევი და რასაც მეუბნება, იმის საპირისპიროს ვაკეთებ, მაგრამ ხანდახან რაღაცებს ვითვალისწინებ. ჯერჯერობით ერთი შვილი გვყავს, 5 წლის ხანდრო.
- აბა, რა არ მოგწონს ქართველი გოგონების - ხედმეტი გადაპრანჭვა და არაბუნებრიობა ხომ არა?
- მართლაც არ მომწონს არაბუნებრიობა საქციელსა თუ მეტყველებაში - აუ, მოთოვააა, გოგო, შეხედე, როგორ თოვოს... რა საჭიროა ასე ტელარტყვით ლაპარაკი? ქართველი ქალები ამის გარეშეც მშვენიერები და ლამაზები არიან. ჩემი აზრით, თავშეკავებულობა ნებისმიერ დროს მისაღები და მოსაწონია. ხისტები კი არიან, მაგრამ ამასაც ხიბლში ვუთვლი. ზოგი გამიბრაზდა გოგონებზე დაწერილი ლექსის გამო, ბევრმა უბრალოდ, იხალისა.
- ქალ მძღოლებსაც არ სწყალობს - ქალი „კუნაში“ ვიცი მეო, ამბობ... ლექსში მონაყოლი მართლა გადაგხდა თავს?
- ახლა გეტყვით ამ ლექსს და თვითონ განსაჯეთ: „ათასი თვალი რომ გქონდეს/ და რომ ფიქრობ, არა მიშავს/ სადღაც მაინც გადმოხტება/ და

უკნიდან მაგრად გთხლიშავს/ სახეს მიიღებს ბატონისას/ თვალები ხბოსავით ადევს/ ისე საწყლად ატირდება/ რომ ვალს აქეთაც დაგადებს/ უცებ პატრულის ხმა ისმის/ შენი ნომერი ან ფოსტა/ გუშინ მანქანა ვიყიდე/ დღეს კი ვამტვრე, აუ, პროსტა/ არადა, ყველა კითხვაზე/ სწორი პასუხი გაეცი/ პარკინგზეც სწორად შეხვედი/ აქ ბრძოლის ველზე დაეცი/ ამ გაწამაწიაში ვარ/ უკან მანქანა მომადგა/ ისევე ქალი ზის საჭესთან/ ცალ ხელში ვხელავ პომადას/ მეორეში ტელეფონი, ყელში ამოვიდა, ყვეები/ საჭეს რითი ატრიალებ?/ რა თქმა უნდა, იდაყვებით/ დამუხრუჭებას ვერ ასწრებს/ არ მეყოფოდა ჯერ ისა?/ მიზიდულობის ძალა მაქვს?!/ სად მოდიხარ, შე ჩემისა/ ყველამ თავისი აკეთოს/ მეტყუარე ვიცი ბუხარში/ მანქანა კი კაცებს გვანდებოდა/ ქალი ვიცი მე კუნაში/ ახლა ბევრი გაბრაზდებით/ ხუმრობებსა ვწერ პატარებს/ ზოგი გოგო, დამერწმუნეთ/ ბევრ ბიჭზე კარგად ატარებს“. აი, ბოლოში ხომ ხედავ, მაინც სათქვენოდ დავამთავრე ეს ლექსი, ქალების გულისწყრომა რომ ამერიდებინა თავიდან...

- „ტრადიციულ“ ოჯახსაც მიულოცე გაბედნიერება, ოღონდ შენეულად - ლგბტ წყვილის გახმაურებულ ქორწინებას ლექსი მიუძღვენი. უფრო მეტად რამ გაგაბრაზა - თვითონ ამ ფაქტმა, თუ ჩოხები რომ ეცვა ორივეს, ამან?

- არ მომწონს და რა სასჯელიც უნდა დამაკისრონ, ყოველთვის მექნება ამაზე მკვეთრად გამოსატყუარი უარყოფითი რეაქცია. მომკალი და არ მესმის ასეთი არაჯანსაღი ურთიერთობა. ზოგი იბახის, არ არის ავადმყოფობა, ნორმალ და ნორმა რომ იყოს, მაშინ ბავშვიც გაუნდებოდა ასეთ წყვილებს, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მაინც. ამ ყველაფერს რელიგიაც, ფიზიკური მონაცემებიც ეწინააღმდეგება და ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი და სადად მოაზროვნე ადამიანისთვის ვერასდროს იქცევა ნორმად. მე ჩოხას არ ვიცვამ, იმიტომ რომ მოღალატე ბატონს ვგავარ. უნდა გქონდეს ღირსება, ჩოხა რომ ატარო, მე ასე მიმაჩნია. ვფიქრობ, ხალხის გასალიზიანებლად ვაკეთებს ასე. ამ ლექსის შემდეგ ბევრი მწერდა: დაანგებ თავი, თავისთვის იყენე, შენ რას გიშლიანო? ვინ უშლით, იცხოვრონ, როგორც უნდათ, მაგრამ ზედმეტი აქტივობებისა და ავთორიტეტის გარეშე. განა ჩვენ გამოვდივართ და ვყვიროთ, მოგვხედეთ, ქალები გვიყვარსო? ეს არის ირიბი ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე. ამ ლექსის გავრცელების შემდეგ, მათმა უფლებადამცველმა, სახელი და გვარი არ მახსოვს, „ფეისბუქზე“ მომწერა, - საქართველოში რომ ჩამოვალ, მაგრად გცემო. კაცი ჩანდა, ოღონდ სურათებში ქალის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. ჩამოდი და მცემე-მეთქი, - მივწერე პასუხად, მაგრამ ჯერ არ ჩანს.

- სარკაზმით ასახავ ყოველდღიურობას, ბევრი რამ მენიშნა...

- „ქვეყანაში, სადაც ბესო ქალია/ სადაც გონას კალკოტკები ამშვენებს/ ავტობუსის მძღოლი სადაც მთვრალია/ სადაც ორ კაცს ჩხუბში ქალი აშველებს/ მარშრუტკაში, სადაც ბიჭი სკამზე ზის/ ფეხშიძემ კი თავზე ადგას წუხილით/ ქვეყანაში, სადაც უსამართლობას/ შიშის გამო ჩვენ ვპასუხობთ დუმილით/ ქვეყანაში, სადაც ერი გაიყო/ მოკლედ ვიტყვი - „ქოცაბი“ და „ნაცები“/ პარლამენტში ავინებენ ერთმანეთს/ უბრალონი გამოდიან ნაცემი/ ქვეყანაში, სადაც ჩინელს ქართველი/ მუშად მიჰყავს, სადაც მტვერში დააგდებს/ როცა უნდა, ხელფასს მაშინ მისცემს და/ ერთი მცირე პრეტენზია - გააგდებს/ სადაც მიწას უცხოელზე ყიდიან/ ფულის გამო შეიხი ფლობს აქციებს/ სადაც მთიდან მორაკრაკე არაგვი/ არაბების ფეხსაბანად აქციეს/ თუკი არ გყავს პილარსტი ძმაკაცი/ ტრადიციულ ოჯახიდან მოდიხარ/ ევროპისთვის შენ ხარ მიუღებელი/ ერთი სიტყვით, ღორი ზომოფობი ხარ/ ასე ხდება, გადაჯიშდა ქართველი/ კიკუხასეთ ვინც ფულს იხდის, მისი ხარ/ ერთ დროს როგორც ილიამ თქვა კაცურად/ საქართველოვ, მართლა მეტის ღირსი ხარ!“ არ მინდა იმაზე, რაც გვჭირს, ვაება და ტირილი დავიწყო და ამიტომაც ვცდილობ, მსუბუქად შევეხო რეალობას - იქნებ რეალობაზე ასე უფრო დაფიქრდნენ.

- „ყველას ევროპა გვეძახის, არავის უნდა ტყე-ყანა“, - ესეც შენი ლექსიდანაა. ასე რატომ ფიქრობ?

- გამოვრბივართ სოფლებიდან, მართალია, საკუთარი ნების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც. ჩამოვდივართ დედაქალაქში იმ იმედით, რომ უკეთესად ავაწყობთ მომავალს, მერე ვხვდებით, რომ არც აქ არის ადვილი და ევროპისკენ გვიჭირავს თვალი. გვგონია, იქ ძირს დოლარებია მოფენილი და მარტო აკრეფადა უნდა. ამასობაში კი ყველაფერს ვკარგავთ, პირველ რიგში, საკუთარს თავს...

- სპინერით შევცვალეთ მახათიო, ამბობ. უსაქმურები და ხარმაცები ვართ ქართველები?

- საუბედუროდ, ასეა. ადრე თუ მახათი გექონდა, გვაძულეს სპინერით ჩაგვენაცვლებინა, რომ უფრო უმტკივნეულოდ გავერთოთ. ერთხელ, ჩემს შვილს გამოვართვი გაბრაზებულმა, - მომეცი ერთი, რა არის ასეთი, ამდენი ხანი რომ ატრიალებ-მეთქი? დავიწყე ბზრიალი და შემეიყოლია: ეს მოგწონს, შვილო, ეს არის კარგი? - ვეკითხებოდი და თან ხელს ვეღარ ვუშვებდი...

- „ეს ქვეყანა ერთხელ მაინც ჩავაბაროთ შალიკოს“, - ლეიბორისტი ხარ?

- არა, რა ლეიბორისტი, უბრალოდ, ისეთი შემართებულია ტიპი და ისე იხვეწება, რომ ინტერესი მკლავს, რა მოხდება მისი ქვეყნის სათავეში მოსვლის შემთხვევაში. სხვათა შორის, ამ ლექსს თვითონ შალვაც გამოეხმაურა, ხინკლის მისართმევად უნდა შეგხედროდით ერთმანეთს, მაგრამ მერე ვეღარ შედგა ჩვენი შეხვედრა. გუგავაზეც დავწერე ლექსი, რაზეც ბევრი იცინა ხალხმა. სხვათა შორის, ჩემმა მეგობარმა ლაშა მოისწრაფიშვილმა ამაზე სიმღერაც ჩაწერა. ტექსტი ასეთი იყო: „ცრემლი მოგერევა, გუგავა მოვა/ ცოლი ვიღალატებს, გუგავა მოვა/ კუჭი გეტკინება, გუგავა მოვა/ აგური ჩაგარტყვს, გუგავა მოვა/ ზურგი გეფხანება, გუგავა მოვა/ „პაკრიშკა“ გაგისკდა, ის დანგრავთ მოვა/ ვერ შეგამინებს წვიმა და თოვა/ ქოლგა თუ არა გაქვს, გუგავა მოვა“.

- დაბოლოს, ისიც მითხარი, „ჩემი ცოლის დაქალებში“ როგორ მოხვდი?

- იანვარში ერთ-ერთ სერიაში გადამიღეს. ქეთი ხუციშვილმა მითხრა, კასტინგია და ბუდი სცადეო. ვასრულედი კასპელის როლს, რომელიც კარგად ცხოვრობს და კასპის მიტოვება არ უნდა. „ცოცხალინი“ - ასეთი მეტსახელი მქონდა. მამაჩემი მართლაც ძალიან ცოცხალი ტიპია და ჩემს პერსონაჟს ეს სახელი შეეფერებოდა კიდევ. აი, ასე ნაწილობრივ ამისრულდა მსახიობობის ოცნება.

გვანცა შუბითიძე - სორბონის უნივერსიტეტის კურსის ლიდერის ჯილდოს მფლობელი

წელს, სორბონას საუნივერსიტეტო ასოციაციის ფარგლებში, ისტორიულად პირველი შემთხვევაა, როდესაც კურსის ლიდერის ჯილდო ქართველ სტუდენტს



ერგო, პრიზის მფლობელი კი განათლების საერთაშორისო ცენტრის ბენეფიციარი გვანცა ჩადუნელი გახდა. ბუერსათვის, ალბათ, უცნობია, რომ გვანცა ჩვენი თანამოქალაქეა, სწავლობდა ქრისტეფორე III-ის სახელობის სურამის №4 საჯარო სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ, სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა, აქვე გაიარა სამაგისტრო კურსი. დღეს გვანცა "მედვინეობა ხარებაში" იურისტის პოზიციაზე მუშაობს. მადლობელია სკოლის მასწავლებლების, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მის წარმატებაში და დღემდე გულშემატკივრობენ. რაც შეეხება ამ კონკრეტულ წარმატებას, ღირსეულ სიტყვით მოგიყვებით მის მნიშვნელობაზე.

უნივერსიტეტი „პანთეონ-ასასი პარიზი 2“, ისტორიული სორბონას ნაწილი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია თავისი პრესტიჟული იურიდიული ფაკულტეტით, მკაცრი აკადემიური რეგულირებით და სწავლების მაღალი ხარისხით, მიჩნეულია, როგორც „სამართლის პირველი უნივერსიტეტი საფრანგეთში“. მაგისტრატურის მეორე საფეხურზე (Master 2) აპლიკანტთა დიდი რაოდენობის მიუხედავად, სტუდენტთა მცირე რეგლამენტირებული რაოდენობა მიიღება, შესაბამისად, კურსზე ჩარიცხულ საუკეთესო სტუდენტთა შორის დიდი კონკურენციაა.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება პრესტიჟული სადღესასწაულო საღამო, სადაც უნივერსიტეტი საპატიო ჯილდოს გადასცემს სამართლის, პოლიტიკური მეცნიერებების, ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მედიის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების თითო საუკეთესო კურსდამთავრებულს და

ლიდერის სტატუსს ანიჭებს მათ. „ლიდერთა საღამო“ (La soire'e des Major), უნივერსიტეტის ასასის ცენტრში 2000 პერსონაზე გათვლილ დიდ ამფითეატრში გაიმართა, სადაც ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 70-მდე საუკეთესო მაგისტრის საგულშემატკივროდ და მისალოცად მაღალი აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის პირები, პროფესორები, იურიდიული წრეებისა და უნივერსიტეტის პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლები, ლიდერი მაგისტრების ოჯახის წევრები, მეგობრები და კურსელები შეიკრიბნენ. დაჯილდოების ცერემონიას სპეციალური სტატუსით უძღვებოდნენ უნივერსიტეტის პრეზიდენტი გიომ ლეტი და საფრანგეთის გენერალური პროკურორი ჟან-კლოდ მარინი.

დიპლომისა და სპეციალური ჯილდოს გადაცემისას, პრეზიდენტმა ლეტმა, ლიდერებს მოუწოდა: „ნუ დაივიწყებთ უნივერსიტეტს, რომელმაც ყველაფერი მოგცათ თუ მოგვიანებით მას თქვენი მხარდაჭერა და თანამშრომლობა დასჭირდება“.

„თქვენ ხართ ფრანგული უმაღლესი განათლების საუკეთესო სახე“ - მიმართა ლიდერებს გენერალურმა პროკურორმა, „ეს იმ შრომის, ინვესტიციისა და მსხვერპლის აღიარებაა, რასაც თქვენ წლების განმავლობაში ეწეოდით. თქვენ იქნებით საფრანგეთის უნივერსიტეტის სიმბოლო პროფესიულ საქმიანობაში, გახდებით იურისტი, მეწარმე, ექსპერტი თუ ა.შ. უნივერსიტეტმა თქვენ ბევრი მოგცათ და თქვენგანაც იგივეს მოელის.“ ასევე შეგვახსენა სწორი პროფესიული არჩევანის მნიშვნელობა, „აირჩიეთ ისე, რომ უკან მოხედვისას არ ინანოთ, იყავით ამბიციურები და გქონდეთ განსაკუთრებული ოცნებები“, თავისი მიმართვა გენერალურმა პროკურორმა ოსკარ უაილდის სიტყვებით დაასრულა: „მთავარია გვქონდეს საკმარისად დიდი ოცნებები, რათა ისინი მათი ახდენისკენ მიმავალ გზაში არ დაგვარკოთ“.

უნდა აღინიშნოს, რომ ასასის ლიდერის სტატუსი, კურსდამთავრებულები-სათვის, პროფესიული ასპარეზზე, რიგი პრივილეგიების და დამსაქმებელთა მხრიდან მწვანე შუქის გარანტიად მიიხსნევა.

სურათზე: (ზემოთ) გვანცა შუბითიძე უნივერსიტეტის პრეზიდენტ გიომ ლეტთან და საფრანგეთის გენერალურ პროკურორ ჟან-კლოდ მარინთან ერთად.



ხაშურის რაგბს შესანიშნავი შევსება ჯორღია

რაგბი რომ ერთ-ერთ უპირველეს სახეობად ყალიბდება საქართველოში, არახალი თემაა. შორს აღარ წავიდეთ, ხაშურში, ამ ათიოდე წლის წინ, თითო-ორიოდა



მოზარდი თუ იყო დაინტერესებული ამ საოცარი თამაშით, დღეს კი პირდაპირ ბუშია და ჩვენი გუნდები უკვე საქართველოს პირველობის „ა“ და „ბ“ ლიგაში მონაწილეობენ და თანაც საკმაოდ წარმატებით. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებშიც გვყავს წარუზავნილები და ხვალ-ზუგ არავის გაუკვირდება, თუ ისინი უპირველეს ნაკრებშიც მოხვდებიან.

სასიამოვნოა, რომ ხაშურის რაგბს შესანიშნავი შევსებაც ეზრდება. სხვადასხვა ფესტივალებზე (მოგეხსენებათ, პატარა ასაკში რაგბისტები ე.წ. ფესტივალებში მონაწილეობენ), ისინი მუდამ წარმატებით გამოდიან. ასე იყო ამჯერადაც: რამაზ ნოზაძის და არსენ გიორგაძის დამოძღვრებულმა 2006-2007 წლებში დაბადებულმა პატარა რაგბისტებმა, გასულ კვირას, თბილისში გამართულ ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა და ჯერ „ღელ-სარასენის“ თანატოლები აღელოვეს (45:5), შემდეგ - თბილისის „ხვამლი“ 25:10 და ბოლოს - თელავის „თელავი“ - 40:20. წლებგანდელი წესდებით, ფესტივალების 6 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი ბოლოს საჩემპიონოდ შეერკინებოდა ერთმანეთს. თუ წინა ფესტივალის შედეგებსაც გავითვალისწინებთ (რუსთავის „ხარებთან“ - 30:150, „ვიქარასთან“ - 15:15 და „ღელოსთან“ - 30:0, ჩვენი ბავშვები საუკეთესო ექვსეულში უპრობლემოდ მოხვდებიან და არც ჩემპიონობა უნდა იყოს შორეული ოცნება. დაიხ, ხაშურის რაგბი სწორი გზით ვითარდება და სწორედ ამ პატარების ასეთი შემართებაა ის გარანტია, რომელმაც უახლოეს მომავალში, ჩვენს მუნიციპალიტეტში, სპორტის ეს სახეობა ახალ სიმაღლეზე უნდა აიყვანოს.

გაზეთის „ხაშურის მოამბე“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულს ხაჩიძეს მეუღლის **ოთარ ნოზაძის** გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. **ბ**-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.